საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
SHOTA MESKHIA STATE TEACHING UNIVERSITY OF ZUGDIDI

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 46

26 დეკემბერი **2016 წ.**

ქ. ზუგდიდი

მიზნობრივი კვლევების განსახორციელებლად სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/ დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმებისა და პროგრამის მონიტორინგის ჩატარების მიზნით შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მომართვის, აკადემიური საბჭოს სხდომის 2016 წლის 26 დეკემბრის № 21 ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მიზნობრივი კვლევების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამების მოდიფიცირების/აკრედიტაციის, სასწავლო უნივერსიტეტის საავტორიზაციო მიზნებისთვის განსახორციელებლად სტუდენტთა/ კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვისა და პროგრამის მონიტორინგის ჩატარების მიზნით შეფასების ფორმები წარმოდგენილი სახით (დანართი).
2. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ბ. მოსიას) კვლევების შედეგების ანალიზის, რეკომენდაციებისა და მონიტორინგის საფუძველზე პროგრამის შეფასების შედეგების ანგარიშის წარმოდგენა არაუგვიანეს 2017 წლის სექტემბრისა.
3. დაევალოს ნ.ფიფიას, გადასცეს დადგენილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, და დაინტერესებულ პირებს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე ქ.თბილისი, უზნაძის ქ.№52.

თეონა ხუფენია

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე თ. ხუფენია

ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14, 2100; ტელ: 0 415 25 62 17, 0 415 25 62 14; მობ: 577 41 90 41; ფაქსი: 0 415 25 62 17
14 Janashia str. Zugdidi, Georgia 2100; Tel: 0 415 25 62 17, 0 415 25 62 14; Mob: 577 41 90 41; Fax: 0 415 25 62 17